საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

2017 წლის II კვარტლის ანგარიში

❖ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში 2016 წლის შუახევის კომპლექსური ექსპედიციის პრეზენტაცია გაიმართა. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოხერხდა იმ უნიკალური ფოლკლორული მასალის მოძიება-შეგროვება, რომლებიც სასწრაფოდ აუდიო-ვიდეო-ფოტო დაფიქსირებას საჭიროებდა. კომპლექსური ექსპედიცია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში გასულ წელს აჭარის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

❖ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე და რეგიონების სამსახურის სპეციალისტი მიხეილ ჯავახიშვილი ზესტაფონსა და ბაღდათის სალოტბარო სკოლებს ეწვივნენ და მიმდინარე სასწავლო პროცესი შეაფასეს.

❖ 4 აპრილს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლები იმყოფებოდნენ თეთრიწყაროში. სამუშაო ვიზიტის მიზანი იყო სალოტბარო სკოლის მოსწავლეების გაცნობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და ასევე ადგილობრივ მოსახლეობაში სალოტბარო სკოლის პოპულარიზაცია.

❖ 4 აპრილს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ქეთევან ჯავახიძის ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია 80-მდე ნამუშევარი.

- 21 აპრილს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გალერეაში გაიხსნა სვანი მხატვრების - ჯიმშერ გუჯეჯიანის, არჩილ გვარლიანის, შალვა გულედანის, ვალერი გვარლიანის, კახაბერ ბარლიანის, შალვა შუკვანის, ლეო და რევაზ ხოჯელანების ნამუშევრების გამოფენა.

❖ 10 მაისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა სანოტო კრებულის ,,აჭარული ხალხური სიმღერებისა" და ოთხდისკიანი ალბომის ,,აჭარული ტრადიციული მუსიკის" წარდგინება. ორივე გამოცემა ერთი პროექტის - ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში - განხორციელდა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერითა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით.

❖17 მაისს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გალერეაში გაიხსნა გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა ,,ძველი და ახალი ხევსურეთი".

❖23 მაისს ფოლკლორის ცენტრის ოზურგეთის სალოტბარო სკოლის ბავშვები თბილისს ესტუმრნენ. 60-მდე მოსწავლე გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში სპეციალურად ღია კარის დღესთან დაკავშირებით მოიწვიეს. ოზურგეთის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა საპატრიარქოს ტელევიზიის სააქტო დარბაზში კონცერტი გამართეს.

❖25 მაისს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით, შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დიდ დარბაზში გაიმართა ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ხალხური პოეზიის საღამო - ,,ლექსო, არ დაიკარგები".



❖27 მაისს მუშტაიდის ბაღში გაიმართა ღონისძიება „მუშტაიდის გაცოცხლებული ისტორიები“.
მხარდამჭერი: კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. ორგანიზატორები: ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, მუშტაიდის კულტურისა და დასვენების ბაღი.

❖ 29 მაისს თელავში ოფიციალურად გაიხსნა სალოტბარო სკოლა. საქართველოს ფოლკლორის სახელმწფო ცენტრსა და თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელს შორის ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

❖ 31 მაისს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევში, ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმში გაიმართა ფოლკლორული საღამო.

❖ 31 მაისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა მხატვარ ანზორ თოდრიას პერსონალური გამოფენა.

❖ 6 ივნისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა 6 უცხოელი გრაფიკოსი მხატვრის ნამუშევრების გამოფენა. მხატვრებმა ბანგლადეშიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, ისრაელიდან და ირანიდან თავდაპირველად მოინახულეს საქართველოს სხვადასხვა კუთხე და შემდეგ შეიქმნა 26 გრაფიკული ნამუშევარი.

❖7 ივნისს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეგიონების სამსახურის თანამშრომლები იმყოფებოდნენ კასპში, სალოტბარო სკოლის შემოწმების მიზნით.

- 9 ივნისს თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლეში გაიმართა ცნობილი მომღერლის და ლოტბარის მიხეილ მცურავიშვილის აუდიოალბომის წარდგინება. აუდიოალბომი ეძღვნება მიხეილ მცურავიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავს. ალბომში შესულია ოცდახუთი ქართული ხალხური და ქალაქური სიმღერა, თან ერთვის მომღერლის შემოქმედებითი ავტობიოგრაფია - ,,ჩემი სიმღერა"

- 9 ივნისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გალერეაში გაიხსნა საპატრიარქოს ,,წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სკოლა-პანსიონის" მოწაფეთა ნამუშევრების გამოფენა - ფერწერა, ხატწერა, ტიხრული მინანქარი, ტანსაცმლის მოდელირება, ხის მხატვრული დამუშავება



❖ 20 ივნისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ცნობილი კომპოზიტორის, ფოლკლორისტის, მომღერლის, საზოგადო მოღვაწის ია კარგარეთელის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

❖ 21 ივნისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა ,,ტრადიციები" - შუახევის ეთნოგრაფია (აჭარა). გამოიფინა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოძიებული 150-მდე ექსპონატი.

❖24 ივნისს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლები იმყოფებოდნენ სვანეთში, მესტიის სალოტბარო სკოლის შემოწმების მიზნით.

❖25 ივნისს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლები იმყოფებოდნენ სამეგრელოში, ფოთის სალოტბარო სკოლის შემოწმების მიზნით.

❖26 ივნისს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლები იმყოფებოდნენ რაჭაში, ონისა და ამბროლაურის სალოტბარო სკოლის შემოწმების მიზნით.

❖28 ივნისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გაიმართა ქისტური ფოლკლორისადმი მიძღვნილი ღონისძიება - ქისტური ზეპირსიტყვიერებისა და გამოყენიბითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, ასევე ქისტური სიმღერისა და ცეკვის კონცერტი.
გამოიფინა ქისტური ზეპირსიტყვიერების (ქისტურ და ქართულ ენებზე) და ხალხური რეწვის უნიკალური ნიმუშები (ძერწვა, ქარგვა, რეწვა, ხეზე კვეთა, თექის დამუშავება).

❖ 29 ივნისს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეგიონების სამსახურის თანამშრომლები იმყოფებოდნენ თეთრიწყაროში, სალოტბარო სკოლის შემოწმების მიზნით.

- გამოსაცემად მზად არის დისკი საარქივო აუდიოჩანაწერები. (კასპი, ქვემო ჭალა.) კომპაქტდისკზე წარმოდგენილია სიმღერა-დასაკრავები ქვემო ჭალის ფოლკლორული ანსამბლის, ქართლის და ამავე სოფლელი და-ძმის, იოსებ და ნადია ისერგიშვილების რეპერტუარიდან.

- მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე -„რაჟდენ ხუნდაძე"
- გამოსაცემად მზად არის აუდიო ალბომი: ,,მიშა მცურავიშვილი, ჩემი სიმღერა"

- მიმდინარეობს მუშაობა კრებულზე -„ქართული საეკლესიო გალობის ანთოლოგია“.

- მიმდინარეობს მუშაობა ცენტრის ახალი ვებ.გვერდის www.folk.gov.ge შევსებაზე. მომხმარებელს უკვე საშუალება აქვს გაეცნოს აღნიშნულ საიტზე განთავსებულ მასალებს.

- მიმდინარეობს ინტენსიური საქმიანობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საქართველოს რეგიონებში წარმომადგენლობების გახსნასთან დაკავშირებით.

❖ რეგულარულად ვუწევთ რეკომენდაციებს შემოქმედებით თუ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ანსამბლების ხელმძღვანელებს, მომღერლებს, ქორეოგრაფებსა და მოცეკვავეებს, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებსა და მხატვრებს, მთქმელებს, სახალხო თეატრების რეჟისორებს და ასევე სხვადასხვა რაიონის კულტურის სამსახურის უფროსებს.

❖ ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის შესავსებად.